ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N7.

თარიღი: 21.03.2023 წ.

დადგენილება N11.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N11

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას;

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულების, პერსონალის მართვის წესის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა და ფუნქციები

2.1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი. სამსახურს შესაძლებელია ჰყავდეს მთავარი სპეციალისტი, მრჩეველი, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.2. სამსახურის ამოცანებია:

ა. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - უნივერსიტეტის ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია;

ბ. საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციების მოძიება;

გ. საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ახალი ურთიერთობების დამყარება;

დ. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;

ე. უნივერსიტეტში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო დონეზე;

ვ. საერთაშორისო კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

ზ. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

თ. ადგილობრივი სტუდენტებისათვის გაცვლით პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ი. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა;

კ. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

2.3. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები:

ა. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - უნივერსიტეტის ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია;

ბ. ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, მათთან კომუნიკაციისა და ერთობლივი პროექტების შემუშავების უზრუნველყოფა;

გ. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;

დ. უნივერსიტეტში საერთაშორისო დელეგაციების ვიზიტების დაგეგმვა/ორგანიზება;

ე. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

ვ. უნივერსიტეტის დებულებით, სამსახურის დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების განხორციელება;

ზ. მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

2.4. სამსახურის მთავარი სპეციალისტის ფუნქციები:

ა. საქმიანი ურთიერთობების დამყარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო - სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ - სპორტულ, შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია - დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;

ბ. საერთაშორისო სტუდენტების დახმარება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვაში;

გ. სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ. საერთაშორისო კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

ე. უნივერსიტეტში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

ვ. სამსახურის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.

2.5. მრჩეველის ფუნქციები

ა. მრჩეველი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას საერთაშორისო ასპარეზზე;

ბ. მრჩეველს შეუძლია წარმოადგინოს უნივერსიტეტი პარტნიორებთან ურთიერთობების პროცესში.

მუხლი 3. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

3.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

3.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

3.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.